

F 24.
1888

თეატრი

საყოველ-ქვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 44—45

დეკემბერი 4

გაზეთი ღირსა: ერთიან წლ. 5 მან.,
 ნახევ. წლ. 3 ქ., ცალკე № 15 ქ.
 ხელის მოწერა მიიღება: თბილის-
 ში, რედაქციის კანტორაში. ფოთ-
 ში ბეჭარიონ კალანდაძესთან. ად-
 რესი გარეშე მცხოვრებთავის: თიფ-
 ლის, ვъ редакцію газеты
 „ТЕАТРЪ“. გაზეთი ისყიდება:
 თბილისში, ჩარგვანის წიგნის მაღა-
 ზიაში და პ-ნ ხილეკელთან—გო-
 ლოვინის პროსპექტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-
 ლები (ქორწესპონდენცია) გარკვე-
 ვით უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-
 ჭირობა მოითხოვს წერილებს რე-
 დაქცია შესწორებს. რედაქცია არა
 კისრელობს წერილების უკან გაგ-
 ზავნას და მათ შესახებ მიწერ-მო-
 წერას.

უკველ წერილში უნდა იყოს
 მოხსენებული: სახელი გვარი და
 საცხოვრებელი ადგილი დამწერისა

გაზ. „თეატრის“ რედაქციისაგან.

რედაქციამ მიიღო ეოველი ღონისძიება, რომ გაზე-
 თი უკეთესად ემსახურებოდეს თავის საქმეს და გამო-
 დიოდეს ეოველთვის თავის დროზე.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის რედაქციაში.

წლიური ფასი არის . . . 5 მან.

ნახევარ-წლიური . . . 3 >

თითო ნომერი ეღირება . . . — 15 ქაზ.

თბილისის განებე მცხოვრებთათვის ადრესი: თიფლის. Ре-
 дакція газеты «ТЕАТРЪ».

რედაქტორ-გამომცემელი ა. ნებიარიძე.

(ა ხ ე ლ ი ა შ პ ე პ ი 6)

20 ნოემბრისთვის დანიშნული კრება «წერა-კითხების საზოგადოებისა» გადიდო 27 ნოემბრისათვის. როგორც ოცნები მდებრებს, ისეც ოცდა შეიძს კვირა დღე იყო. იქნება კვირის ბრალი იყო, რომ ვერც ერთხელ ვერ შესდგა კრება. ახლა დანიშნულია 6 დეკემბრისათვის. მაშინ კი სამშაბათია და იქნება ამ ხელად სამშაბათმა მაინც შეუწყოს ხელი კრებას. ღმერთმა ქმნას, მაგრამ ეს რასა ჰყავს, რომ წელიწადში ერთხელაც არ გვეხალისება ერთმანეთის ნახვა, როგორც მოღვაწეებისა, რომელნიც საზოგადო საქმეს ემსახურებიან?! ჩვენა ვფიქრობთ, რომ აქ მუშაობს ჩვენი უცულობა და უკუკურავა საზოგადო საქმის მიმართ, რომ ყველანი გაფურბით იმას, რასაც კი ერთი ბეჭო სუნი უდის ქვეყნის სარგებლობისა. მართალია, თითო-ორიოდება ჩვენგანი კი წარ ერიდება საზოგადოების სამსახურს, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ერთმა და ან ორმა, სადაც საჭიროა ათასი და ათი-ათასი თავ-გამოდებული კაცი! .

ბ-ნი აღნიაშვილი შეუდგა ქართული ორკესტრის შედეგას. ორკესტრში იქნება თარი, დაირა, ჭიათური, სტეირი, სალამური, ღუღური და სხვა კავკასიური საკრავები. საკრავები უკვე შეისყიდა ბ-ნმა აღნიაშვილმა და ამ დღეებში დაწყებინებს სწავლებას. მოსაკრავებათ იქნებიან იგინივე, ვინც იმის ხორცში იღებენ მონაწილეობას. დიდის სიხარულით ვეგებებით ბ-ნ აღნიაშვილის ახალ დაწყებულს საქმეს.

ვ. გუნიას კალენდრის ბეჭდებს ათავებენ და ამ მომავალ კვირას დარიგდება მაღაზიებში გასასყიდად.

რუსული დრამატიული დასი პირებს ამ ცოტას ხანში

იდლესასწაულოს პატივცემული არტისტი-ქალის იაბლოჩქინას
 25 წლის მოღვაწეობა სცენაზე. იაბლოჩქინას დიდი ღვაწლი
 მიუძღვის რუსულ სცენისადმი და იმედია მცხოვრებნი ღირსეუ-
 ლად მიეგებებიან ამ დღესასწაულობას.

ქართული დრამატიული კაშიტეტის დასი პირებს წარმო-
 ადგინოს რუსულიდამ ახლად გადმოთარგმნილი პიესა «Вторая
 МОЛОДОСТЬ».

სცენის მოყვარენი ამ თვის ნახევარში პირებენ ახლად
 დაწერილი ფერის წარმოდგენას. ფერია არის დაწერილი 3
 მოქმედებად და 9 სურათად და ჰქონიან «ტარიელი». როგორც
 შევიტყეთ ბევრი, მეტად საინტერესო, სურათია ამ ფერიაში.

დღეს, კვირას, «იტალიის» ბალში გაიმართება ჭიდაობა
 საქველმოქმედო აზრით. შემოსავალი გაეგზავნება ერთს მაღალ
 სასწავლებელში მოსწავლე ყმაწვილ კაცს. იმედია ჩვენი საზო-
 გადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ ამბავს და, ვისაც რო-
 გორ შეუძლიან, მიეშველება გაჭირებულს ასალ-გაზდა ყმაწვილ-
 კაცს.

ცხოვრება და თეატრი.

ჩემი აზრი ის არის, რომ ადამიანს თეატრი უნდა აყვა-
 რებდეს სიკეთესა და ამულებდეს სიავკაცეს, თეატრმა უნდა თა-
 ვი-თავს მოუყაროს ცხოვრების აფ-კარგიანობას და ცხოველის
 სურათებით აჩვენოს ძალა კეთილისა თუ ბოროტის აზრისა და
 გრძნობისა. ასეთი გაელენა თეატრს მაშინ აქეს მაყურებლებზე,
 როდესაც თვით პიესები ამ აზრით არიან დაწერილი და როდე-
 საც მაყურებელიც იმ განზრახვით მიღის თეატრში, რომ გაუ-
 ჩინოს საზრდო თავის სულსა და გულსა, როდესაც მოწადინე-

ბულია იხმაროს თეატრი საკუთარის გრძნობის ასაწევად და ასამაღლებლად. ამ შემთხვევაში გულწრფელი დამოკიდებულება არსდება თეატრისა და მაყურებელის შორის, თვით ამ დამოკიდებულებას მოსდევს სიყვარული თეატრის მიმართ, და თეატრს ხომ სიყვარულის მეტი არა უჭირს რა, რომ დადგეს მტკიცე ნიადაგზე, აუგავდეს, აღორძინდეს, გაიზარდოს და გაადიდოს თვითი ზედ-მოქმედება ხალხზე, გარდაიქცეს სკოლად, სადაც კაცი თანა სწავლობს ჭიუისა და გრძნობის საქმეს, თანაც შხიარულად ატარებს საღამოს.

სადაც თეატრისა და საზოგადოების შორის არ დამკიდრებულა ასეთი ურთიერთი განწყობოლება, იქ თეატრიც უსუსურს ყოფაშია და საზოგადოებასაც ყურით მიათრევენ წარმოდგენაზე ისე, როგორც გამოუქნელს მოზვერს ყურით მიათრევენ ულელში თავის ამოსაყოფად. ჩვენის უწვრთველისა და უფიცის საზოგადოებისათვის თეატრი იგივე ულელია სქელის რცხილის ტაბიკებით, რომელსაც ისე უფრთხის გამოუქნელი მოზვერი.

რაც გინდა ფერადი ფრაზები დაპხარჯო, მაინც გამოვამლის თავზე სახარების კითხვა, მაინც თეატრში ჯერ ძნელად ატარებ ჩვენ კაცა, იმიტომ რომ თეატრი საზოგადოების უმრავლესობისათვის სამასხარო დაწესებულებაა და გაკედილია ტყუილებით. რაკი ასეთი შეხედულობა აქვთ თეატრზე, იმიტომ დიდხანს თეატრიდამ ჩვენი კაცი გამოიტანს მხოლოდ იმას, რაც თვითონ მოსწონს და უჭირს—ხერხიანობას, ოსტატობას, ტყუილის გუდაობას და სხვა არაფერს. თუ ესეები მისცა თეატრმა უხვად, კიდეც ივლიან, და თუ ამ სიმდაბლეზე არ ჩამოვიდა თეატრი, მუშტარიც დიდხანს არ ეყოლება. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ წმინდა ტაძარი ხელოვნებისა, დიდებული სკოლა მთელის საზოგადოებისა ამ სიმდაბლეზე ჩამომხდარიყოს და ლაზლანდარა ცირკათა ქცეულიყოს. დევ, ისევ ასე აჩანჩალოს. თვისი დღენი ამ დიდებულმა ბურჯვა ქვეყნის წარმატებისამ, ოღონდ თვითონვე კი არ გაითხაროს ძირი და არ დაისხას თავზე ლაფი. ერთხელაც იქნება, რომ იმასაც გაუთენდეს უტყუარი დღე, იმასაც მიეშუქოს ნათელი სიყვარულისა და სა-

ზოგადოების პატივისცემისა, ერთხელაც იქნება, რომ ჩევნცა გვყვანდეს ნამდვილი განათლებული საზოგადოება, რომელიც ორის ხელით დაჭიდება ყოველსავე სასიკეთო დაწესებულებას და არ ჩაგდებს ამ დღეში ქართულ თეატრსა.

მანამდის კი ჩევნი კაცი საზოგადოდ გაცილებით ცულდური, მატყუარა და გაეშმაკებულია, ეიძრე ის გმირები, რომელთაც თეატრში ჰნახავს, და ამიტომაც არ დაიარება. დიპლომატობა და ცბიერობა იქამდე გასჯდომია გულში ჩევნ საზოგადოებას, რომ თვით უბრალო კინტუა ბიჭიც კი, ის კინტუა ბიჭი, რომლის ერთად ერთ ლირებას შეადგენდა პირუთვნელობა, გულგახსნილობა და სიმართლე, ეს კინტუაც კი გადასლომატებულა და გაცბიერებულა, ამბობს ერთსა და სხვას კი ჰელიკონის შინაურ საქშეებშიაც კი. მითხედ-მოიხედეთ გარშემო და ყოველს წუთს დარწმუნდებით, რომ ჩევნი კინტუაც კი დღეს დიპლომატია და ცბიერი. აი თუნდა მაგალითი. იმ დღეს ვაგონში ჩაჯდა სამი ერთმანეთის ნაცნობი კაცი. ორი ხელოსანი იყო, ერთიც კინტო. მეც იქ ახლოს ვიჯექი. საღამო ხანი იყო და ციოლა. ერთ ხელოსანს ნალენიობა ეტყობოდა, სხვები ფეხზლად იყვნენ. ნალვინევმა სიამოვნება გამოაცხადა, რომ ჩევნში ჯერ ზამთრის სუნი არც კი დატრიალებულაო და ამ საღამოზე ლამაზათა თბილაო. მეორე ხელოსანი არ დასთანხმდა — «რას ამბობ კაცო, სიცივემ ლამის ძელებამდის ჩამიჭიროსო». საჭმის გარდაწყვეტა მიანდვეს კინტუა ბიჭსა, და მეონია თვით ბისმარკ-საც გაუჭირდებოდა გამოსულიყო ამ გარემოებიდამ ისე მშრალათა, რომ არც ერთისთვინ ეწყენინებონა და არც მეორისთვის: «ემ წუთას ჰამა ცივა, ჰამა თბილა, ჰამა გრილაო». მოკამათენი სრულებით დაკმაყოფილდნენ ამ სამართლით და ახლა სხეაზედ დაიწყეს ლაპარაკი. ეს პასუხი ისეთივე სისულელია, როგორიც იქნებოდა, რომ თხაზე ერთს ეთქა — დათვიაო, მეორეს — მერცხალიაო და მესამეს კი გადაეჭრა: ჰამ დათვია, ჰამ თხაა, ჰამ მერცხალიო.

საზოგადოება ასეთს უშეველებელ ცბიერებას ადგეს, თეატრში ამაზე დიდ ცბიერების შესწავლას შევნატროდეს, ამ დროს მოდით თქვენა და მოსთხოვეთ, რომ თეატრის ნამდვი-

ლი ღირსება და ძალა დააფასონ! თეატრი ჰამ არ ვარგა, ჰამ კარგა, ჰამ ცირკისთან არა იქნება რაო, ე. ი. ჰამა ცივა, ჰამა თბილა, ჰამა გრილაო.

თქვენ თეოთონ გაიგეთ, ცივა, თბილა თუ გრილა ამ ზამ-თარსა, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ თონეთის სკოლის გადაყენებულმა მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს ცივა, თბილა თუ გრილა ამ ზამთარსა. მე მოგახსენებთ «წერა-კითხვის გამაცერულებელ საზოგადოების», სკოლაზე და მასწავლებელზე, რომელიც «დროებით უადგილოდ დარჩა, რადგან საზოგადოების სკოლებში თავისუფალი ადგილა არსად იყოვთ».

ეს სიტყვები ამოეწერე «საზოგადოების» წლიურ ანგარი-შიდამ. ერთი მუშტრის თვალით გასინჯეთ ის ადგილი ამ ან-გარიშისა, სადაც თონეთის სკოლაზე ლაპარაკობს. რა ოსტა-ტობით შეუდგენია გამგეობას, რომ სწორედ ნერწყვი მოუკავშირდებოდა კაცისა, რომელსაც დიპლომატობა ძვალსა და რბილში გასჯდომია. როგორც თქვენ, მყითხველო, აგრეთვე მეც ვიცი, ვინც იყო თონეთის მასწავლებელი და ვინც «ადგილის უქონ-ლობის გამო ჯერ-ჯერობით უადგილოდ დარჩა», ამის გამო ჩემსაცით თქვენც გეწყურებოდათ შეგეტყოთ, როგორ მოახერ-ხა და დაიმსახურა ახალგაზდა ქაცმა ასეთი რისხეა, «საზოგა-დოებისა», მაგრამ პასუხის მაგიერ თქვენს ცნობის მოყვარეობას ანგარიში სწორეთ იგეთს პასუხს იძლევა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ე. ი. ჰამა ცივა, ჰამა თბილა, ჰამა გრილაო.

თქვენ მე არ მიცნობთ ჯერა, მყითხველო, და ამიტომ მო-გახსენებთ, რომ ჩემთვის იმის მეტი ცხარე სანატრელი არა არის-რა, როგორც ისა, რომ ნეტავი ამისთან «საზოგადოებისაცით» უწარჩინებულებს დაწესებულებას არ აეკვითებოდეს ხოლმე საზიზლარი და მამაკაცინებელი აჩრდილი ცსიქრობისა, დიპლო-მატობისა, და თავზე არ გადაგვატყდებოდეს ხოლმე წრფელი და გაუტეხელი, დაულლელი და უშიშარი მართლოყვარეობა ქართველის კაცისა. ამაზე მეტი არა მინდა რა ჩემს სიცოც-ხლეში.

«ანგარიში» თავიდამვე ცდილობს, რომ ნისლი და ბუ-

რუსი მოახეოსს ნათელს სახეს მასწავლებლისას. ამიტომ გერმანი წმუნებს, რომ «იმის ცნობები, თუ რამდენი შეგირდი დარჩა საკადემიო წლის დამლევამდე და რამდენმა დაანება თავი, არა გვაქვს, რადგან მასწავლებლის ანგარიშის ამის შესხევ არაფერია ნათესებამით». ნისლი და ბურუსი თანდისთან სქელ ჯანღათ გარდიქევა, როდესაც ვკითხულობთ, რომ ბ-ნ ჩევიზორს სკოლაში არ დაპატიჟებულოდენ არც შეგირდები და, ასე გასინჯეთ, არც მასწავლებელიო, თუმცა გამგეობისაგან შიწერილი ჰქონდა, რომ შეგირდები არა დაეთხოვნა, ვიდრე რევიზორი არ მივიღოდათ. მართლაცა და ეს დიდი თავხედობაა და საყველური ძალა-უნებურად გიმზადებათ თავში ამის წაკითხვაზე. მაგრამ რამდენსამე სტრიქონს ქვეითა ჰქითხულობთ საბუთს, რომ უვავილი გაჩინდა და სწავლის გაგრძელება შეუძლებლად ეცნო მასწავლებელსაო. ხოლო ეს დაურღვევებელი და ულმობელი საბუთი ისე გაკვრით, უნდილათ არის მოყვანილი, ისე გაქარწყლებულია «ანგარიშში», თითქო ამ ავადმყოფობას არავითარი შესაწყნარებელი მხარე არ მოეპოვება, რომ ცოტათი მაინც მოალბოს გამტკციებული გული გამგეობის სასტიკ მართლმოყვარეობისაო.

ამ შეორე მიზეზს გამგეობის განრისხებისას მოსდევს მესამე მიზეზი, რომელიც უფრო განმარისხებელი ჰქონია ამ საკვირველს «ანგარიშში»: მასწავლებელს უსიამოვნება ჩამოაუგარდა სოფლის მოხელეებთანაო, ამის გამო სკოლის საქმე ცუდათ მიღიოდა და გამგეობა იძულებული (საწყალი გამგეობა!) იყო მასწავლებელი მოეშორებინა და სხვა სკოლაში სადმე გადაეყენა, მაგრამ რადგან საზოგადოების სკოლებში თავისუფალი ჯგიდი მასწავლებლისა არსად იყო, ამიტომ მასწავლებელი დროებით უადგიდოდ დარჩა».

აფერუმ, დიპლომატია! აფერუმ, გამგეობა! ბარაქალა ქართვლის ენის მახერა-მოსხრა!.. გამგეობამ გარდასწყვიტა, ჩამოთვლილ მიზეზების გამო, მასწავლებელი სხვა სკოლაში გადაეყენათ და ისევ მასწავლებელი კი უადგილოდ დარჩა დროებითაო. რასაკვირველია თქვენმა გაზდამ, თუ კი სხვა სკოლაში უნდოდა გადაყენა, მაშ უადგილოდ როგორიცა დარჩა

მასწავლებელი! თუ ადგილი არა ჰქონდა, მაშ საღ გადაჲყვანდა, და თუ არ გადაჲყვანდა, მაშ თონეთში სხვა მასწავლებელი რათ დაუყენებია!..

რა საჭიროა ბექრი ლაპარაკი. მტყუანს ტყუილის კარამ-ლე უნდა მიჲყვეთ და იქ გამოჩნდება, რომ, ერთის სიტყვით, მასწავლებელი გაუვდიათ სამსახურიდამ იმიტომ, რომ ბ-ნ რე-გიზორს მასწავლებელი არ დაჲცედრია თონეთში, საზოგა-დოთ შეგირდები დაუთხოვნია ცოტა ადრე ყვავილისა გამო და მოხელეებთან უსიამოვნება გამოჰსელია.

ერთი იყითხეთ, რომელი პატიოსანი მასწავლებელი მო-ტრიალებულა სოფელში და უთანაბოება არ გამოსელია სოფ-ლის მოხელეებთან! თითქო გამგეობა ამ ქვეყნისა არ იყოს და არ იცნობდეს ჩვენს სოფელსა და სოფლის წურბელებიათ. მასწავლებელი ებრძეის იმათ წლითი-წლამდე და მხოლოდ ამ ბრძოლით იზიდავს თანაგრძნობას სოფლისას, რომელსაც ყვე-ლა მწიგნობარი კაცი თავის მტრად მიაჩნია, ეიდრე თავის თვა-ლით არ დარწმუნდება მის სიკეთეში. თუ ეს უბრალო გარე-მოება არ ესმის ჩვენს გამგეობას, ცუდათა ყოფილა მისი საქ-მე, და თუ ჩვენსავით გაგებულია ამ საქმეში და ძალათა ჰეთ-ჰეთ თვალს, შენი მტერი იყოს, როგორიც ეს გამგეობა ყო-ფილა, და მერწმუნეთ, ხშირად გაეიგონებთ იმის პირიდამა, რომ ერთსა და იმავე დროს თურმე ჰამა ცივებულა, ჰამა თბი-ლებულა და ჰამაც გრილებულა!..

მკითხველი, მგონი, ისეა ჩვენთან გაწმილებული, რომ ამის მეტი არა ეთქმის რა — ეპ, ჯანი გაჲვარდეს, კმარა. ჩასა ვიქთ, დრონი მეფობენო! ოღონდაც, ჩემო გულმართალო მკი-თხველო.

უცნობი.

გაუგებავი სიცვარული.

გულზედ ისარი დამასვა
ლერწამ-ტანამ, შავ-თვალამა,

გამაბრუა, მუხლი მომჭრა
 კლაკნიმ, ხშირ-წამწამა.
 იმ დღეს შეეხვდით ერთმანეთსა:
 დამინახა, დაეინახე;
 დიდხანს მსურდა გულ-გამსჭვალულს,
 რომ მესინჯა მისი სახე.
 ნაცნობობით მისალმება,
 ახლოს მისელა გავიძრახე;
 მეც დამრცხვენდა, ქალსაც შეჰრცხვა,
 არ იქმნა ვერ ავიძრახე.
 ნეტავ, ღმერთო, მაცოდინა,
 რა ფიქრს ჰმალავს ვარდის კონა,
 მერე თუნდა ჯოჯოხეთში
 გადამაგდე შენი მონა.
 ლამაზია, მშვენიერი,
 ის წყეული,—ქვეყნის წონა.
 ტყულად ჰფიქრობ—დამივიწყო,
 გული გულსა ჟეწონა!
 ახლოს მოხვედ გაბუტული,
 დამაცქერდი, მითომ რაო?!
 დობილს ჰკითხე: „ის ვინაა
 უცხო კაცი, ნეტავ, ქაო?!”
 რად მამწარებ წუთისოფელს,
 გულ-გრილობით რადა მკლაო!?
 გზაში შეგხვდი, არ მომხედე,
 მანამ კარგად არ მოგშორდი...
 ჩემს გულს ჰყევხარ ჩაქსოვილი,
 ამ სამს წელში არ მოჰშორდი.
 თუ ეგრეა და გენიშნა,
 როცა მნახავ, მომცემ სალამს;
 იმედი მაქეს, არ ჩაუვლევ
 უქმად შრომას ამ ჩემს კალამს.

გაუა-ფშაველა.

სიმართლის მოყვარული.

კომედია ერთ მოქმედებად.

(თარგმანი)

(დასასრული)

გამოსკლა მეთერთმეტე.

იგინივე და ნინო.

ნინო. ბატონი, თქვენი ქმარი, გიახლათ და არ ვიცი უთხრა თუ
არა თქვენი აქ ყოფნა?

ბარბარე. ჩემი ქმარი? ვაიმე რაღა მეშვეოლება, აქ რომ მნახოს?
ჰავლე. წალი და უთხარი ბატონი შინ არ არისთქო.

არჩილ. როგორ, ტყუილი? არა, უკაცრავათ მე ვერ დაუმალამ,
წავალ ვეტყვი, რომ შინა ბრძანდებით.

ჰავლე. მოიტა, რას შერები?

არჩილ. მე აქ იმიტომ ვარ, რომ მართალი უნდა ვიღაპარა-
კო. (მიდის).

ბარბარე. ოხ, ღმერთო, დამალვა მაინც არხად შეიძლება?

ნინო. როგორ არა, ი იქით გასვლელი არის, ისე რომ ვერ
შეხვდებით, წამობრძანდით (მიდიან).

გამოსკლა მეთერთმეტე

იგივე სიმონი და არჩილი.

არჩილ. მობძანდით, მობძანდით, სახლის პატრონი რამდენი
ხანია გელოდებათ. რა ქნილა ისლა?

სვიმონ. დანიშნულ ვადაზე მოვედი სწორეთ თუ არა; ხომ არ
დავიშალე?

ჰავლე. რათა, რათა, მე დიდი მოხარული ვარ შენის დანახვით.

არჩილ. (იქთ) ტყუილი!

სვიმონ. შემ მგონი სადღაც ემზადები!

პავლე. ჰო, მინდოდა ცოტა გამევლო, წამო შენც, გავიაროთ.

არჩილ. კიდევ ტყუილი!

სვიმონ. უკაცრავათ, მე არ შემიძლიან, იმიტომ, რომ
დროება არა მაქვს. მე წელანდელს საქმეზე მოვედი, რა
ჰქენ, იფიქრე?

პავლე. არ ვიცი რავენა ღმერთმანი, ამის ცოლს პატიოსანი
სიტყვა მივეცი. საყვარელო მეგობარო, ხომ იცი რომ
თუ კი ამ შემიძლიან შენთვის არ დავიშურებ: ერთისა-
გან უნდა მიმელო დღეს, მაგრამ მომატყუეს, ესე, რომ,
უნდა გამოგოტყდე გითხრა, რომ ამ ეუმათ გროში-კაპერი
არა მაქვს.

არჩილ. ესეც სამი, არა მეტის ნებას აღარ მივცემ... თქვენ
არა გაქც ფული? რათ ატყუებთ მეგობარი. არ
დაუჯეროთ, ფული აქვს, მაგრამ თქვენთვის მოცემა
არა სურს.

პავლე. ყელი გამომჭრა ამ რაზბონიერა.

სვიმონ. ეგ, უფალო პაელე, თქვენ მეგობრობას...

პავლე. რა ყურს უფებდ ამ სულელს, პატიოსან სიტყვას გაძ-
ლევ ეხლა, ემ საათში, ნ თუმანი არა მაქვს ჯიბეში.

არჩილ. გეოვათ ხუმრობა, საქმე ჯიბეში არ არის, გააღეთ
სტოლი და ნახეთ არის იმდენი რასაც ესენი თხოულობენ
თუ არა?

პავლე. გადამრევს სწორეთ ეს დასაღუპავერ... დიახ, დიახ, მართ-
ლა, მე სრულებით დამაიწყდა, აი ინებეთ (ძლევეს).

სვიმონ. ოჯ, რა მაღლობელი ვარ ჩემი მეგობარო.

პავლე. (არჩილს) მაღლობთ მეგობარო.

არჩილ. არა ლირს მაღლობათ, მე მართალი ვთქვი.

სვიმონ. მაშ მშვიდობით საღამომდისინ (დაინახამს ცოდის ქოდ-
გას) ამას რას ვხედამ?

პავლე. ეს-და მაკლდა.

სვიმონ. რა ქვნა ეს ქოდგა... სწორეთ ჩემი ცოლისაა.

პავლე. შენი ცოლისა რათ იქნება?

სვიმონ. რათ გაწითლდით უფალო?

არჩილი. ეგ ფერი ქოლგის სარჩულისაგან იქნება. ესთქო ყველაფერი სიმართლით თუ არა?

პავლე. თუ ხმა ამოგილია, იცოდე რომ დაგარჩობდეთ?

სვიმონ. მითხარით ბატონო, მე არ მეცნიერება, ესია ეს ქოლგა?

გამოსვლა მეცნიერება.

ნინო.

ნინო. ნუ სწუხდებით ბატონო! ეს ქოლგა ჩემი გახლამო.

სვიმონ. ოქენი?

ნინო. ღიას ჩემი, რა არის აქ საკვირველი?

სვიმონ. ჩემი ცოლის ქოლგაც სწორეთ ასეთია, დღეს მე ვუ-
ფეხაშე...

ნინო. მეც ბატონმა მიუფეხაშა.

სვიმონ. ეგ შეუძლებელია!

ნინო. რატომ, განა ერთანირი ქოლგები არ შეიძლება? მიბო-
ძეთ ფული და, თუ გნებამო, მთელს დუჭინს მოგიტან
ამისთანას. ბატონო, პურს არ მიირთმევთ? სტოლი მზათ
გახლავთ, ესენი აქ დარჩებიან?

სვიმონ. არა, მე არ შემიძლიან, მე ეხლავ უნდა წავიდე შინ...

ნინო. (პავლეს) არ გაუშვათ. მაშ მე წავალ, მოგართმევთ სადილს
(მიდის).

პავლე. მადლობა ღმერთს, იმან გამომიხსნა, თორემ ცუდათ
იყო ჩემი სექმე. რა მოგივიდა ჩემო მეგობარო, რამ გა-
გაჯარია?

სვიმონ. გამიგონე, მე და შენ კარგი მეგობრები გართ, მაგ-
რამ ის რომ მომხდარიყო, რასაც მე ვფიქრობ, ფულსაც
დაგიბრუნებდი და სხვანაირათაც გადისწორდებოდი.

პავლე. ენდე ჩემს პატიოსნებას, რომ შემ ამ შემთხვევაში ძა-
ლიან შემცდარი ხარ.

არჩილი. კიდევ! ეჭ, რაკი საქმე ესეა, მე უნდა გითხრაო, რომ
ოქვენ აქ გატუშებენ.

სვიმონ. რაო, რა ბძანეთ?

არჩილ. ისა რომ თქვენს გასვლამდის აქ ერთი ახალგაზლა
ქალი გიახლათ.

სვიმონ. ჩემი ცოლი?

არჩილ. მე თქვენს ცოლს არ ეიცნობ, მაგრამ თუ ის ქალი
მართლა თქვენი ცოლია, სწორეთ გითხრათ, თქვენ ძალიან
ბებერი ბძანდებით ამისთვის.

სვიმონ. თქვენ მაგას არა გითხამენ, სწორეთ მითხარით...

არჩილ. რაღა გითხრათ, სცდამთ როგორ გამოიცვალა?

სვიმონ. რა ფერი კაბა ეცვა?

არჩილ. მგონი... მოშავო იყო.

სვიმონ. შლიაპა?

არჩილ. ვერ დავინახე.

სვიმონ. თვალები?

არჩილ. ვერ დავ-თვალიერე.

სვიმონ. თმები?

არჩილ. თმები—ჩვეულებრივი.

სვიმონ. მაშ რაკი ასეა, წამობძანდით ჩემთან, თქვენ მოწმათ
უნდა...

პავლე. არა ეს მეტის მეტია, მაგის ნებას არ მოგცემთ.

არჩილ. წაიყვა, თავი დამანებეთ ერთი, თქვენ მგონი თარივე
გაგიებულხართ, დამნაშავენი თქვენა ხართ და მე შეუაზე
მგლეჯამთ.

სვიმონ. ძალიან კარგი, მე წავალ მარტო და იცოდე ჩემო მე-
გობარო, რომ თუ ჩემი ცოლი შინ არ დამიხედა, მაშინ
მე ისევ დავბრუნდები, მაგრამ სულ სხვანაირათ. მე და თქვენ
ვოენურათ უნდა ვიბრძოლოთ და ეს საქმე ერთ-ერთი
ჩემთაგანის სიკედილით უნდა გათვალისწინება, მშეიღობით!

პავლე. აი გაიგე რა მოახდინე, შე ტუტულო შენა?

არჩილ. ჩემი რა ბრალია. მე მართალი ვთქვი.

პავლე. შენის უბრალო ყმედობისაგან უნდა მომკლან.

არჩილ. არა უშავს რა; სიმართლისთვის სიკედილი მეტი
ლირსებაა.

პავლე. გასწი დაიკარგე შენი სულელური სიმართლით (ვეთ)

ଗୁଣ୍ଠାରୀ, ରା ପ୍ରେତି ରାମ ପ୍ରୋଫିଲ୍ଲା, ରାଜତ୍ରୀଙ୍କ ଶେଷମାତରିକ୍ରିୟା
ଶାକଶିଳ୍ପି; ହାତୀ, ହାତୀ ଦାମ୍ଭ୍ୟାର୍ଥୀ ହେମି ଶାକଶିଳ୍ପିଙ୍କାନ୍.

ଅରହିଦ୍ଵା. ଏହା ଗିତକାରୀ ଚିନନ୍ତର୍ଯ୍ୟ, ରାମ ଦିଲ୍ଲୀ ମାଲ୍ଲେ ଗାମାଗଦ୍ଦେଖ ମେତ-
ଜି. ଆଶର୍ବୁଲ୍ଲେ ତୁ ଏହା ହେମ ଶିତ୍ୟଜା. ଶାକଶିଳ୍ପ ଏହି ଏହାରେ, ରାମ
ଶିମାରତଲୀଙ୍କୁ ତିତକ୍ଷମିଲେ ପ୍ରେଲ୍ଲା ମିଠିର୍ଗ୍ରେସ, ମାଗରୀମ ଏହାରେ କିମ୍ବା
ଏହା ଶିରାଶିଶ. ଶିମାରତଲ୍ଲେ—ଗାମାତକର୍ମାରୀ, ଶିନିଦିଲିଶାରୀ କାଲିବ;
ମିର୍ଗି ଶିପୁଗାର୍ବୁଲୀଙ୍କୁ ଫୁଲି, ଏହାର ଉନ୍ଦା ଉଲାଲାତ୍ରି. (ଏହୁ-
ଛେବା ଝକିଝକିଶିବ) ଏହି ମନ୍ଦିରର ଏହା କାମାଗଲ୍ଲେ ଏହି ଶୈଖିଶେ-
ଲୀବ ବାରାଲୀ ଗ୍ରେନ୍ଡିବା ରାମ ଦାମାଲୁଲୀ ଏହି ମନମିଳାଶି
(ଅଛେବା)

ଘରେକୁଳା ମେତରତକମ୍ପେରୀ.

ରାଜନିବ୍ୟ, ବିନନ୍ଦ ଏହି ଶ୍ଵିମନ୍.

ବିନନ୍ଦ. (ଶ୍ରେଷ୍ଠବିନନ୍ଦଙ୍କର୍ଷି) ବୁଝିନିବାନ୍ତ, ପ୍ରେଲ୍ଲାଜ୍ୟେରୀ କାରିଗାତ ମନ୍ଦାଶ୍ରୀ-
ଶିଳ୍ପୀ. ରାମଙ୍କ?

ବିନନ୍ଦ. କୁମାର, କୁମାର, ମନୀରୁଲ୍ଲାତ ଦାଖିବାଦିତ.

ଶ୍ଵିମନ୍ଦ. (ଶ୍ରେଷ୍ଠବିନନ୍ଦଙ୍କର୍ଷି) ହେମ କ୍ରେତାଲ୍ଲା ମେଘବାରୀ, ମାମାତ୍ରିଗ ଶେନି
କିରିମ୍ବି, ଶ୍ରେଷ୍ଠବିନନ୍ଦଙ୍କର୍ଷି, ରାମ ବନ୍ଦିଶି ଉନ୍ଦା
ମନ୍ଦାଶ୍ରୀବାନ୍ଦି.

ଶିଳ୍ପୀ. ରାମଙ୍କ, ମନ୍ଦାଶ୍ରୀ କ୍ଷେତ୍ରକେ?

ଶ୍ଵିମନ୍ଦ. ହାରମନିଦଗିନ୍ଦ, ମିର୍ଗିରୁଲ୍ଲେଖ ରାଜ କାଲୀ ଏହି କାମାଗଲ୍ଲେ
ଶିନିଶିଶ, ମିର୍ଗିରେ ତୁ ଏହା ଏହାକାର ହେମ ପ୍ରାଣି ଏହାକାରିତା
କିବିଦ୍ବେଦ ହାମନ୍ଦିବନ୍ଦର୍ଗବା ତାଙ୍କିଲେ କାଲିବ. ମାମାତ୍ରିଗ, ମାମାତ୍ରିଗ
ଶେନି କିରିମ୍ବି; ଶ୍ରେଷ୍ଠବିନନ୍ଦଙ୍କର୍ଷି ବନ୍ଦିଶି କିମ୍ବା ଏହି ଏହାରେ ଏହି
ଶୁଳମ୍ଭେରିତା?

ଶିଳ୍ପୀ. ଶେନ ଗାମାନିପାନ, ଶ୍ରେଷ୍ଠବିନନ୍ଦଙ୍କ ଗାଥିଲାଗତ, ଲାଲ୍ଲେ ଦାଵିକିର୍ଣ୍ଣ (ବିନନ୍ଦଙ୍କ)
ଶେନପ ଉନ୍ଦା ଗାପାତ୍ରିକା, ରାମ ଗାଗ୍ରେଖିମର୍ଗରେତ: ମେ
ମିନଦିନରେ ଶେନି କିମ୍ବନ୍ଦିବନ୍ଦର୍ଗବା ଗାମାମିପାଲିନା.

ଶ୍ଵିମନ୍ଦ. ଏହିବା ଗାନ୍ଧିବା, ରାମ ମେ କି ମାରତଲ୍ଲା ଗାପିଜାଗର୍ଦୀ ହିନ୍-
ଲାନ୍? ଏହା ଶେନମା ଶେମ, ମେପ ବିନ୍ଦମର୍ଗ!

არჩილი. (აქთ) ფერი-ფერსა მადლი ღმერთსა... კარგები შეი-
ყარნენ.

სვიმონ. ეხლა კი მგონი დროა წასვლისა, თორემ ვაი თუ ცხე-
ნები სხვას მიჰყიდონ. ვმადლობ ჩემო მეგობარო, გმად-
ლობთ. საღამოზე ჩემი ცოლით მოვალ და ბევრი ვიცი-
ნოთ და ეიხუმროთ, მშვიდობით. (მადის).

პავლე. უმ, ასე მკონია საპალნე მამხსნეს მეთქი. ნინო შენი
მადლობელი უნდა ერყო, რომ დღეს ცოცხალი ვარ, ან
როგორ მოახერხე მაკრე ჩქარა და ლაზათიანათ.

ნინო. როგორ მოახერხე? ჩავჯერ ფაიტონში და მანამ ეგ
თქვენ გელაპარაკებოდათ მიუტანე ეგ ქალგა იმის ცოლს.

პავლე. რით შემიძლიან გადავიხადო... როგორა ვცდებოდი,
რომ ეს კარგ კაცათ მიეიღე და შენ კი ვინ იცის რას
გეძახოდი.

ნინო. ნუ ემდურებით, მითომ სიმართლეზე იარა, მაგრამ ძა-
ლიან გადაჭარბა. ხანდისხან კეთილი სიმტკუნე, ბოროტ
სიმართლეს სჯობია... ეს ჩემი საქმროა; უნდა ვითხიათ...

პავლე. როგორ თუ საქმრო?

არჩილი. დიახ, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ეს ის ჩემი საცოლე
გახლამთ, რომელზედაც წელან მოგახსენებდით.

პავლე. აი, შე მურტალო, მაშ შენც სიმართლეს გადუდექ
და მე მატყუებლი?

არჩილი. ეჭ, იქ სიმართლეს რა უნდა საცა დედაკაცია ჩა-
ჩინოული.

დათვე აწყურელი.

იგავ-არაძნი პროზით

(ლესსინგისა)

მუდო*) და ჭიანჭელა.

— «საცოდავები ხართ ჭიანჭელები!» უთხრა ერთხელ

*) მუდოს (MUDÖ) ეძარიან თაგვის მსგავსს ცხოველს.

მუდამ ჭიანჭველას.—«განა თქენებით მოგროვილი სახამთხოდ საკუები, იმ შრომად ლიჩს, რამდენსაც თქენ წვალობთ? აბა მე შემომხედეთ რამდენი შევაგროვე?..»

— «ყური დამიგდე, დობილო», მიუგო ბაქია მუდოს, ჭიანჭველამ: «თუ შენს დამზადებულში იმაზე მეტია, რაც შენ გეყოფა—ადამიანები მართალი ყოფილან, რომ ხოროს გითხრიან, სარჩოს გართმევენ და შენი გაუმაძლრობისთვის შიმშილით გქლავენ».

რაც არის მეტი და მასთან სხეისი, ნუ მიითვისებ, თორემ კირის ანდაზა შეგისრულდება: ვირი მოვებაზე წავიდა, ნალებიც იქ დარჩაო!

2) ლომი და კურდლელი.

ერთი ლომი და კურდელი დამეგობრდნენ.—«მართალია, მეგობარო, რომ თქენ ლომებს უბრალო მამლის ყიფილი გაშინებთ?» ჰეითხა კურდლელმა მხეცთა მეფეს.

— «ნამდილია, ნამდილი, ქმობილო!» უპასუხა ლომება:—«საზოგადოთ ჩეენ, მძლავრ მხეცებს, ამ გვარი ახირებული ზე გვჭირს, აი მაგალითად: ეკრ წარმოიდგენ სპილოს როგორ აშინებს ლორის ლრუტუნი».

— «ნუთუ ეს მართალია?» გაუწევეტინა კურდლელმა ლომებს: «ეხლა კი მივხვდი ჩეენ კურდლელებს რისთვის გვაშინებს ძალლების ყეფა».

კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ ნახირაო.

• ჟედაქტილი და გამომწემელი ალ. ნებისმიერი.